

მხარდაჭერის ინსტიტუტის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები

ნინო დარსაველიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შალვა პაპუაშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2016

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ რომ, ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: ----- ნინო დარსაველიძე თარიღი: 30.06.2016

აბსტრაქტი

სამართლის წინაშე თანასწორობის უფლება განმტკიცებულია ყველა საერთაშორისო თუ შიდა კანონმდებლობით. დაუშვებელია პირისთვის სამართლის სუბიექტად აღიარების უფლების შეზღუდვა. ქართული საკანონმდებლო სისტემაც საერთაშორისო სამართლის სისტემის ნაწილია, თუმცა 2014 წლის 8 ოქტომბრამდე კანონმდებლობა ცალსახად უშვებდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქმედუუნაროდ აღიარებას და მათთვის ყოველგვარი სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების ჩამორთმევას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ ძირეული გადატრიალება მოახდინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვის კუთხით. მათ საზოგადოებაში ინტეგრირების ახალი შესაძლებლობები გაეხსნათ. სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების გაძლიერებასა და მათ მიერ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. ჩემი ნაშრომი სწორედ იმ გზის განხილვას ეხება, რომელიც ქართულმა კანონმდებლობამ რეფორმის განხორციელების თოთოეულ ეტაპზე გაირა და დღემდე მიმდინარეობს.

Abstract

Equality before the law is the right established in all international and domestic laws. Limiting person's right as the subject of the law is impermissible. Georgian legal system is a part of the international legal system as well. However, until October 8, 2014, legislation unequally allowed recognition of the people with disabilities as legally incapable and deprived their civil rights and obligations. Constitutional Court's decision made fundamental turn in defending rights of the people with disabilities. They opened new opportunities for social integration. States are required to contribute to the strengthening of the rights of persons with disabilities and their independent decision-making ability. My thesis is related to the discussion of the way, which Georgian legislation passed on each stage of the reform implementation and is still ongoing.